

ადმინისტრაცია

სამეცნიერო პროექტებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მენეჯერი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ რეკომენდირებული, პრაქტიკულად გამოყენებადი ტექნოლოგიების, ახალი მასალების და ნაკეთობების რეკლამირება;
- ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებთან ერთობლივად ეროვნული და საერთაშორისო საგრანტო პროექტების მომზადება და წარდგენა;
- დირექტორის მოვალეობის შესრულების პერიოდში პირველი პირის ხელმოწერით სარგებლობის უფლება;
- სამეცნიერო საბჭოსთან ერთობლივად ინსტიტუტის სამეცნიერო პროგრამების შემუშავება;
- სამუშაოების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მარკეტინგული კვლევის ჩატარება კონკურენტუნარიან, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, ახალ მასალებსა და ნაკეთობებზე;
- ინსტიტუტის თემატიკიდან გამომდინარე ახალ მასალებზე და ნაკეთობებზე უახლესი ცნობების მოძიება და საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული პრიორიტეტული მიმართულების შესაბამისად თანამედროვე ტექნიკური-საპატენტო ლიტერატურის მოძიება;
- სავარაუდო გამოგონების ავტორთა ჯგუფთან ერთად შესაბამისი საპატენტო დოკუმენტაციის გაფორმებისთვის ხელშეწყობა.

დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში (1 ერთ.)

- ინსტიტუტის სამეურნეო საქმიანობაზე პასუხისმგებლობა; ინსტიტუტის ტერიტორიაზე და ადმინისტრაციულ-ლაბორატორიულ კორპუსში ადმინისტრაციული წესრიგის უზრუნველყოფა და სამეურნეო სახის საკითხების მოგვარება;
- შენობა-ნაგებობების, ელექტრო სისტემისა და მოწყობილობების (მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის პროფილის სპეციფიური მოწყობილობა-დანადგარების) მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ორგანიზება და კონტროლი;
- ინსტიტუტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და საწვავ-საცხები მასალების გამოყენებაზე ზედამხედველობა;
- შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე საერთო ზედამხედველობა;
- მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი და მექანიკური სახელოსნო) საქმიანობის ზედამხედველობა და კონტროლი;
- დაცვის სისტემის მუშაობაზე ზედამხედველობა.

დამხმარე პერსონალი

დირექტორის თანაშემწე - საქმეთა მწარმოებელი (1 ერთ.)

- დირექტორის ყოველდღიური განრიგის შედგენა და მისგან მიღებული სხვადასხვა დავალებების შესრულება;
- დირექტორის მიერ დაგეგმილი შეხვედრების, თათბირების შეთანხმება, ორგანიზება;
- საინსტიტუტო დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების უზრუნველყოფა;
- კომუნიკაციების მართვა (სატელეფონო ზარების მიღება-რეგულირება);
- საჭირო დოკუმენტების თარგმნა რუსულიდან/ინგლისურიდან ქართულად და პირიქით;
- ინგლისურენოვან და რუსულენოვან პარტნიორებთან ურთიერთობა, საქმიან შეხვედრებზე ზეპირი თარგმანის უზრუნველყოფა;
- ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა;

- დირექტორის დავალებით სხვა დამატებითი საქმიანობის შესრულება;
- ინსტიტუტის ვებგვერდის წარმოებაში მონაწილეობა. სათანადო მასალების მომზადება და თარგმნა.

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი (1 ერთ.)

- ინსტიტუტის კადრების მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა;
- ინსტიტუტი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა დანიშვნის, გათავისუფლების, გადაყვანის, დაწინაურების, წახალისების, პრემირების, მივლინების, შვებულების, დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისა და სხვა სამსახურებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული ინსტიტუტის დირექტორის მიერ გამოსაცემი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- სამუშაო ადგილისა და ხელფასის, სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის თაობაზე ცნობების მომზადება;
- ინსტიტუტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება;
- ინსტიტუტში ატესტაციებისა და კონკურსების ორგანიზებაში მონაწილეობა;
- ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომის წიგნაკების (არსებობის შემთხვევაში), აღრიცხვა-წარმოება, მათში დანიშვნა - გათავისუფლების, გადაადგილების შემთხვევაში ჩანაწერების გაკეთება;
- კვარტალური და წლიური სტატისტიკური ანგარიშის მომზადება;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებლობა;
- ინსტიტუტში საიდუმლო საქმის წარმოება და საიდუმლო კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის პროცედურების დაცვა კანონის შესაბამისად;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ცალკეული დავალებების შესრულება.

იურისტი (1 ერთ.)

- ინსტიტუტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- ინსტიტუტის დირექტორის მიერ გამოსაცემი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- ინსტიტუტში წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განხილვაში მონაწილეობა. ასევე, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგზე შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- ინსტიტუტის სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, შესაბამისი დავალების საფუძველზე ინსტიტუტის წარმომადგენლობის განხორციელება სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში;
- ინსტიტუტის სახელით დასადები ხელშეკრულებების პროექტების მომზადება, ასევე ხელშეკრულების დასადებად მოლაპარაკებებსა და შეხვედრებში მონაწილეობა;
- ინსტიტუტის სტრუქტურულ ერთეულებში მომუშავე პერსონალისათვის სამსახურებრივ საკითხებზე იურიდიული კონსულტაციების გაწევა საჭიროების მიხედვით.
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებლობა.

მთარგმნელი ოპერატორი (1 ერთ.)

- მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის დარგში ტექნიკური თაგმანი (ქართულ, და ინგლისურ ენებზე);

- სინქრონული თარგმანის უზრუნველყოფა (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ვებ-გვერდის მასალების თარგმნა (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლებისათვის მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციის მიერ დაკისრებული სხვა დამატებითი საქმიანობის შესრულება.

საფინანსო სამსახურის უფროსი - მთავარი ბუღალტერი (1 ერთ.)

- სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ოპერაციების აღრიცხვა და კლასიფიკაცია;
- საბუღალტრო გატარებების წარმოება და კორექტირება;
- საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშების მომზადება;
- საგადასახადო აღრიცხვის წარმოება, მონიტორინგი და საგადასახადო დეკლარირება;
- ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესში მონაწილეობა (დაგეგმვა, განხორციელება და პროცესის მონიტორინგი);
- შიდა კონტროლის სისტემის მუშაობის პროცესში მონაწილეობა და მისი სრულყოფის/გაუმჯობესების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- აუდიტორებისთვის ინფორმაციის დამუშავება და მიწოდება;
- მომწოდებლებთან და მყიდველებთან ბუღალტრული შედარებების წარმოება;
- პირველადი დოკუმენტაციის იდენტიფიცირება და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა;
- ხელმძღვანელის მიერ სამუშაო პროცესში დამატებითი დავალებების მიღება და შესრულება.

ბუღალტერი (I კატეგორია) (1 ერთ.)

- ფინანსური ოპერაციების წარმოება საბუღალტრო პროგრამა „ორისში“, ხაზინის, ბანკის, სალაროს მომსახურება და პროგრამული წარმოება, შესაბამისი მემორიალური ორდერების წარმოება;
- შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობა.

ბუღალტერი (II კატეგორია) (1 ერთ.)

- მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების მიღება - გასავლის ოპერაციების წარმოება პროგრამაში, მატერიალური მარაგების ნაშთის კონტროლი, ინვენტარიზაციის პროცესში საჭიროებისამებრ მონაწილეობა, საწყობის ფუნქციების კონტროლი. შესაბამისი მემორიალური დოკუმენტაციის წარმოება საბუღალტრო პროგრამაში.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი (1 ერთ.)

- მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვა და ცენტრალურ საწყობში მათი მოძრაობის აღრიცხვა;
- ინსტიტუტის საჭიროებისათვის გამოწერილი ტვირთების განბაჟება;
- კომუნალური გადასახადების აღრიცხვიანობის კონტროლი, შენობა-ნაგებობების, ელექტრო სისტემისა და მოწყობილობების (მეტალურგისა და მასალათმცოდნეობის პროფილის სპეციფიური მოწყობილობა-დანადგარების) მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ორგანიზება;
- ინსტიტუტის ელექტრო, წყალ და გაზომომარაგების სისტემების კონტროლი და გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- ინსტიტუტის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართული ექსპლუატაციის უზრუნველყოფა;
- დასუფთავებისა და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;

- სატელეფონო ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

შესყიდვების კოორდინატორი (1 ერთ.)

- შესყიდვების პროცესის განხორციელება და კონტროლი. საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებთან ურთიერთობა;
- შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარება) წარმოება;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან კონსოლიდირებული ტენდერის შესახებ მიმოწერის წარმოება.

მთავარი ენერგეტიკოსი (1 ერთ.)

- ინსტიტუტში ელექტრომეურნეობის მართვა და ზედამხედველობა;
- შიდა ელექტროგაყვანილობის ექსპლუატაცია და მიმდინარე შეკეთების უზრუნველყოფა;
- ელექტრო, ელექტრომექანიკური და ელექტრომაგნიტური საკონტროლო-გამზომი ხელსაწყო-მოწყობილობების საქარხნო მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა და მათ ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა;
- ინდუქციური, ელექტრო-რკალური და სხვა სახის სადნობი ღუმელების, თერმული დამუშავების მოწყობილობა-დანადგარების, თერმო-საკონტროლო ხელსაწყოების, ტირისტორული ძალოვანი ინვენტორების და სხვა სპეციფიური მეტალურგიული მოწყობილობა-დანადგარების ექსპლუატაციის ზედამხედველობა.

ინჟინერ-ელექტრიკოსი (2 ერთ.)

- ელექტრო-მეურნეობის (შიდა ელექტრო-გაყვანილობის, ელექტრო, ელექტრო-მექანიკური და ელექტრო-მაგნიტური საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების, ინდუქციური, ელექტრო-რკალური და სხვა სახის სადნობი ღუმელების, საგლინავი დანადგარების, თერმული დამუშავების მოწყობილობა-დანადგარების, თერმო-საკონტროლო ხელსაწყოების, ტირისტორული ძალოვანი ინვენტორების, პრესების და სხვა სპეციფიური მეტალურგიული მოწყობილობა-დანადგარების) პროფილაქტიკური მომსახურება და მუშა მდგომარეობის უზრუნველყოფა.

უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი (1 ერთ.)

- ინსტიტუტში განთავსებული მეტალურგიული, მასალათმცოდნეობის და სხვა ტექნიკური და საკვლევი მოწყობილობა დანადგარების (ლითონთა წნევეთი დამუშავების დანადგარების, წნეხების და სხვ, ელექტრომექანიკური ხელსაწყოების, ფიზიკო-მექანიკური თვისებების გამზომი ხელსაწყოების, ვაკუუმური და ინდუქციური ღუმელების და მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის პროფილის სხვა სპეციფიური მოწყობილობა-დანადგარების) პროფილაქტიკური მომსახურების, მიმდინარე მოვლა-შენახვისა და მუშა მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- ინსტიტუტის ცენტრალური და ადგილობრივი გათბობის სისტემების გამართული მდგომარეობის პრაქტიკული უზრუნველყოფა.

მძღოლი - კურიერი (1 ერთ.)

- სამსახურებრივი ავტომანქანის ტექნიკურად გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- ინსტიტუტის საქმიანი გზავნილების ადრესატისთვის დროული ჩაბარების უზრუნველყოფა.

დამლაგებელი (3 ერთ.)

- ადმინისტრაციულ-ლაბორატორიულ კორპუსში და პერიოდულად საამქროებში სისუფთავის უზრუნველყოფა.

მექანიკური სახელოსნო

სახელოსნოს უფროსი (1 ერთ.)

- საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის შედგენა და დამუშავება;
- სახელოსნოში არსებულ სამარჯვებზე, დანადგარებზე მუშაობის ცოდნა და პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება;
- ინსტიტუტში მიმდინარე თემატიკის მოთხოვნების შესაბამისად პრაქტიკულ მექანიკაში და ტექნოლოგიებში კონსულტაციის გაწევა.

სანტექნიკოსი (1 ერთ.)

- ინსტიტუტის წყალმომარაგების, კანალიზაციისა და თბოგაყვანილობის სისტემების გამართული მუშაობის პრაქტიკული უზრუნველყოფა.

ზეინკალი-ხარატი (2 ერთ.)

- სახარატო-საზეინკლო სამუშაოების შესრულება;
- ჩაბარებული დანადგარ - ხელსაწყოების მომსახურება და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- სახელოსნოს ყველა დანადგარზე მუშაობის დამაკმაყოფილებელი ცოდნა.

სამეცნიერო პროექტებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის ჯგუფი

ჯგუფის უფროსი - მკვლევარი მთავარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- ვორქშოპებისა და კონფერენციების ორგანიზება მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის მიმართულებით;
- სამეცნიერო პროექტების, გრანტებისა და პერსპექტიული ტექნოლოგიების ბანკის შექმნა;
- ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების საპროექტო-საგრანტო პოტენციალის დადგენა და ურთირთკოორდინირება;
- ინსტიტუტის სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფის მიერ ადგილობრივი და საზღვარგარეთული ფონდების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში წარდგენილი გრანტებისა და პროექტების აღრიცხვა, მათი საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
- კონსულტაციური დახმარება პროექტების გაფორმების სფეროში;
- ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაობის კონტროლი;
- ინსტიტუტის ინტელექტუალური საკუთრების აღრიცხვა (საქპატენტთან ურთიერთობა);
- სამეცნიერო კავშირების დამყარება მეტალურგიის ისტორიასთან დაკავშირებულ სამუზეუმო, ეთნოგრაფიულ და კვლევით ორგანიზაციებთან.

IT სპეციალისტი (1 ერთ.)

- ინსტიტუტის ვებ-გვერდის მართვა და ტექნიკური განახლება;
- ინსტიტუტის პრეზენტაციების მომზადება და ჩატარება;
- სამეცნიერო კონფერენციების ტექნიკური უზრუნველყოფა;
- ინსტიტუტის პუბლიკაციების და გამოცემების ელექტრონული დაკაბადონება;
- ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მართვა;
- კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება (აწყობა, დიაგნოსტიკა, გამართვა, შეკეთება, შექმნა, შეცვლა);
- კომპიუტერული ქსელის გაყვანა (დიაგნოსტიკა და გამართვა), ლოკალური კომპიუტერული ქსელის გამართული მუშაობა;

- კომპიუტერული ტექნიკის: კომპიუტერის, სკანერის, პრინტერის, ქსეროქსის და სხვა მოწყობილობებთან მუშაობა და ქსელში გამართვა;
- გრაფიკულ რედაქტორებთან მუშაობა.

ბიბლიოთეკარი (2 ერთ.)

- ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსიის შექმნა-განახლება, ანბანურ-სისტემური კატალოგების დამუშავება;
- ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფონდის უაკ სისტემის სრულყოფა;
- ბიბლიოთეკათმორისი კავშირების დამყარება ფიზიკის, ქიმიის, მეტალურგიის, მასალათმცოდნეობის და სხვა განხრით;
- ინსტიტუტის ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურება.

მასალათმცოდნეობის განყოფილება

მასალათმცოდნეობის განყოფილების უფროსი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- მასალათმცოდნეობის მიმართულებით ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების სამეცნიერო-ორგანიზაციული ხელმძღვანელობის განხორციელება;
- მასალათმცოდნეობის პროფილის ლაბორატორიის უფროსებთან ერთად ახალი სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება და ლაბორატორიების თემატიკების განსაზღვრა;
- კვლევითი სამუშაო პროგრამების შედგენის ორგანიზება, მათი შესრულების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა;
- განყოფილებაში შესასრულებელი სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების გეგმის შედგენაში მონაწილეობა;
- თანამშემსრულებელთა იმ ჯგუფების საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც მონაწილეობენ ინსტიტუტის ლაბორატორიებთან ან სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად ჩასატარებელი სამუშაოების შესრულებაში;
- მასალათმცოდნეობის მიმართულების სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოყენების სფეროს განსაზღვრა და მიღებული შედეგების პრაქტიკაში რეალიზაციის უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება და კონტროლი.

ბორისა და ფხვნილოვანი კომპოზიციური მასალების ლაბორატორია

ლაბორატორიის უფროსი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- ლაბორატორიის თემატიკიდან გამომდინარე ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო ტექნიკური პროგრამების სამეცნიერო-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა;
- ლაბორატორიაში მიმდინარე სამუშაო პროგრამის და პერსპექტიული საგრანტო პროექტების წარდგენა; მათი შესრულების მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრა და მონიტორინგი;
- ბორის, ბორის ნაერთებისა და ბორშემცველი კომპოზიციური მასალების მიღება და მათი თვისებების კვლევა;
- ნანოსტრუქტურული კერამიკული მასალების მიღება და მათი სტრუქტურისა და თვისებების კვლევა;
- კომპოზიციური ფხვნილოვანი მასალების მიღება და მათგან დამზადებული სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების დანაფარების საექსპლოატაციო თვისებების კვლევა;
- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;

- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;
- მარცვლოვანი არეების, მათ შორის მეტალურგიაში გამოყენებული ფხვნილების სტრუქტურული მოდელის შექმნა ხისტი სფეროებით სივრცის არალეგურალური წესით შევსების კანონზომიერებათა დადგენის საფუძველზე;
- ხისტი სფეროების მიახლოებაში ლითონური წახნაგდაცენტრებული და მოცულობადაცენტრებული სტრუქტურების მდგრადობის კვლევა;
- შემუშავებული მოდელების საფუძველზე ჰეტეროგენული კონტაქტების კონცეფციის განვითარება, მისი სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენების მიზნით, მაგალითად, თვითგავრცელებად მაღალტემპერატურულ სინთეზში, კაზმის ოპტიმალური ფრაქციული თანაფარდობის დასადგენად;
- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;
- ბორშემცველი ნანოსტრუქტურული ლითონკერამიკული და კერამიკული შენადნობების მიღება და მათი სტრუქტურისა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევა;
- ნახშირბადის ნანოსისტემების (ბოჭკოების, მილაკების, კლასტერების) გამოყენებით პოლიმერული და ლითონური კომპოზიტების მიღების მეთოდების დამუშავება და მათი სრუქტურის, ფიზიკურ-მექანიკური და ტრიბოლოგიური თვისებების კვლევა;
- ბორის ნაერთების ფუძეზე კერამიკული და ლითონკერამიკული კომპოზიციური მასალებისა და ნახშირბადის ნანოსისტემების გამოყენებით მიღებული პოლიმერული და ლითონური კომპოზიტების გამოყენების სფეროების მოძიება;
- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (არასრული) (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების წარდგენასა და შესრულებაში მონაწილეობა;
- ლაბორატორიის კვლევითი თემატიკის მიხედვით, ფხვნილოვანი და კომპოზიციური მასალების შესახებ არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ლიტერატურის მოძიება, ანალიზი და განზოგადება;
- ლაბორატორიაში დასამუშავებელი მასალების რეალური სტრუქტურის ფიზიკური მოდელების აგება და მათი კომპიუტერული რეალიზება;
- ლაბორატორიაში დასამუშავებელი მასალების ძირითადი გამოყენებითი მნიშვნელობის მქონე თვისებების პროგნოზირება და ამის საფუძველზე ტექნოლოგიური პროცესისათვის რეკომენდაციების დამუშავება;

- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მკვლევარი - მთავარი სპეციალისტი (1 ერთ)

- ბორშემცველი ნანოსტრუქტურული კერამიკული მასალების მიღება და მათი თვისებების კვლევა;
- სალი შენადნობების (მათ შორის ნანოსტრუქტურული კომპონენტების მქონე) მიღება და მათი საექსპლუატაციო თვისებების გამოკვლევა;
- ლითონკერამიკული და კერამიკული ფხვნილოვანი (მათ შორის ნანოსტრუქტურული) მასალების კომპაქტირების ტექნოლოგიური სქემების დამუშავება და მათგან კონსოლიდირებული ნაკეთობების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება;
- ნანოსტრუქტურული კერამიკული მასალების მიღებისათვის და მათი კომპაქტირებისათვის საწარმოო უბნის დაგეგმვა და მოწყობა.

მკვლევარი მთავარი სპეციალისტი (არასრული) (1 ერთ.)

- ტექნიკური ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე საბიუჯეტო თემის შერჩევა, მისი აქტუალობის დასაბუთება, სამუშაოს მიზნის დადგენა და ექსპერიმენტების წარმართვის მეთოდების შერჩევა;
- ქლორიდ-ოქსიდური კაზმის შემადგენელი კომპონენტების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა. ექსპერიმენტული კვლევით კაზმის ალუმინთერმული აღდგენის პროცესში მიმდინარე თერმიული ეფექტებისა და კინეტიკური მახასიათებლების გავლენის დადგენა პროდუქტის ხარისხზე და გამოსავალზე. პროცესების ქიმიური მექანიზმის ახსნა. მეორადი პროდუქტების თვისებების განსაზღვრა და მათი უტილიზაციის პირობების დადგენა;
- სხვადასხვა დანიშნულების კომპოზიციური ფხვნილების მიღების ოპტიმალური რეჟიმის დადგენა, საცდელი პარტიების მიღება და მათი ძირითადი თვისებების კვლევა.

მკვლევარი - უფროსი სპეციალისტი (1 ერთ.)

- სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების (მაღალი სისალისა და დამაკმაყოფილებელი სიბლანტის, მაღალი რადიაციული მდგრადობის, მაღალი ტრიბოლოგიური მახასიათებლების და სხვათვისებების მქონე) ბორის, ბორისნაერთების (მათ შორის ნანოგანზომილების) შემცველი კომპოზიციური მასალების მიღების მეთოდების დამუშავება;
- სპეციალური დანიშნულების ფოლადების მოდიფიცირებისათვის ნანოსტრუქტურული ლიგატურის მიღების მეთოდების დამუშავება და მოდიფიკატორის გავლენის კვლევა ფოლადის საექსპლუატაციო თვისებებზე.

მკვლევარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- ქლორიდ-ოქსიდური კაზმის ლითონთერმული აღდგენით ფხვნილოვანი კომპოზიციური მასალების მიღების პროცესების ძირითადი კინეტიკური მახასიათებლების კვლევა, ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენა და საცდელი ნიმუშების მიღება;
- მიღებული ფხვნილოვანი კომპოზიციური ფხვნილების კომპაქტირების მეთოდის შერჩევა, პარამეტრების განსაზღვრა და ელექტრონაპერწყლური, ელექტრორკალური და პლაზმური დანაფარებისათვის ელექტროდების დამზადება. ლითონურ ნაკეთობათა ზედაპირების განმტკიცების ტექნოლოგიური რეჟიმის დადგენა.

მკვლევარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- მაღალტემპერატურული ვაკუუმური ღუმელების (გრაფიტის და მოლიბდენის მახურებლებით) გამართვა და მომსახურება;
- ექსცენტრული წისქვილის გამართვა და მომსახურება;
- ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზი.

მკვლევარი სპეციალისტი (არასრული) (1 ერთ.)

- ექსპერიმენტულ საამქროში განლაგებული დანადგარ-აგრეგატების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის პირობების დამუშავება;
- საცდელ ნიმუშებზე ცვეთამედეგობის განსაზღვრის მეთოდის ათვისება და ექსპერიმენტებში მონაწილეობა;
- ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოების პირობებისა და ინსტიტუტში ფუნქციონირებადი მოწყობილობა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის მონიტორინგი.

მკვლევარი - სპეციალისტი (არასრული) (1 ერთ.)

- ბორიდების და კარბიდების მიღების მაღალტემპერატურული პროცესების ფიზიკური და ქიმიური საფუძვლების შესწავლა. კომპოზიციური მასალების მიღების პროცესების სრული თერმოდინამიკური ანალიზი;
- ნახშირწყალბადების პიროლიზის პროდუქტების თერმოდინამიკული მდგრადობის შეფასება ტემპერატურულ ინტერვალში და მისი როლის შესწავლა ნახშირბადის სხვადასხვა ნანოსისტემის ფორმირებაში.

ინჟინერი (1 ერთ.)

- ექსპერიმენტულ საამქროში განლაგებულ დანადგარ-აგრეგატებზე ჩასატარებელი ექსპერიმენტების ტექნიკური მომსახურება;
- ფხვნილგულა ელექტროდების დამზადების და ელექტრორკალური დადულებით დანაფარების მიღების ექსპერიმენტებში მონაწილეობა.

ინჟინერი (1 ერთ.)

- ნანოგანზომილების ფხვნილების მიღების თანამედროვე ხერხები და მეთოდები;
- ნახშირწყალბადების პიროლიზის მეთოდით ნახშირბადის ნანოსისტემების (მილაკების, ბოჭკოებისა და მაგნიტური კლასტერების) მიღება;
- ინერტულ და რეაქციულ აირებში მომუშავე ღუმელების ექსპლუატაცია;
- ნახშირბადის ნანოსისტემების გამოყენებით პოლიმერული და ლითონური კომპოზიტების მიღება.

ინჟინერი (არასრული)(1 ერთ.)

- მიღებული საცდელი ფხვნილების ტექნოლოგიური თვისებების შესწავლა;
- დანაფარების მეტალოგრაფიული კვლევების ჩატარება.

ტექნიკოსი (1 ერთ.)

- ბორმემცველი ნაერთების გამოყენებით ქიმიური მეთოდით კერამიკული და ლითონკერამიკული ფხვნილოვანი მასალების (მათ შორის ნანოკრისტალურ მდგომარეობაში) მიღება;
- რეაქციული და ნეიტრალური აირების გამოყენებით მაღალტემპერატურული ღუმელების ექსპლუატაცია.

ტექნიკოსი (1 ერთ.)

- ფხვნილოვანი და კომპოზიციური მასალების მისაღები პროცესების თეორიულ კვლევაში მონაწილეობა - მცირე მათემატიკური ქვეამოცანების გადაჭრით;
- კომპოზიციური მასალების მისაღები კაზმების მომზადება და დაგეგმილ ექსპერიმენტებში მონაწილეობა.

ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორია

ლაბორატორიის უფროსი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- ლაბორატორიის თემატიკიდან გამომდინარე ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო ტექნიკური პროგრამების სამეცნიერო-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა;
- ლაბორატორიაში მიმდინარე სამუშაო პროგრამის და პერსპექტიული საგრანტო პროექტების წარდგენა; მათი შესრულების მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრა და მონიტორინგი;
- სპეციალური დანიშნულების რკინა-ნახშირბადის შენადნობების მიღების ტექნოლოგიური პროცესის შემუშავება და სრულყოფა;
- რკინა-ნახშირბადის შენადნობების მეტალოგრაფიული და ფიზიკო-მექანიკური თვისებების კვლევა და რეკომენდაციების მომზადება;
- რკინა-ნახშირბადის შენადნობების საექსპლოატაციო პირობების და მზა ნაკეთობების საექსპლოატაციო თვისებების დადგენა;
- ლითონური მასალებისა და ნაკეთობების სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება;
- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;
- სპეციალური დანიშნულების ფოლადებისა და თუჯების მიღების ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვა;
- სპეციალური ფოლადებისა და თუჯების მეტალოგრაფიული და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევა და რეკომენდაციების მომზადება;
- სპეციალური ფოლადებისა და თუჯების საექსპლოატაციო პირობების და მზა ნაკეთობების საექსპლოატაციო თვისებების დადგენა;
- ლითონური მასალებისა და ნაკეთობების სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება;
- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (არასრული) (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;
- მრავალკომპონენტური ლითონურ შენადნობებში ფაზური გარდაქმნების კინეტიკისა და მექანიზმების დადგენა, მაღალენტროპიული შენადნობების ოპტიმალური შემადგენლობების დიზაინი;
- ელექტროწიფური და პლაზმური ღუმელების კონსტრუქციების დადგენა, ინერტული და კომბინირებული აირების გაზრდილი წნევის გადასადნობი კამერების კონსტრუქცია;

- შენადნობების წნევითი და თერმული დამუშავების რეჟიმების დადგენა;
- შენადნობების სტრუქტურული, მეტალოგრაფიული კვლევა, ფიზიკო-მექანიკური თვისებების განსაზღვრა;
- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (არასრული) (2 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების წარდგენასა და შესრულებაში მონაწილეობა;
- აგრესიულ ელექტროლიტებში, მათ თხელ შრეებში და ნიადაგებში ფოლადების, შენადნობების და ნანოკრისტალური დანაფარების კოროზიულ-ელექტროქიმიური კვლევები მათი ოპტიმალური შედგენილობის დადგენის მიზნით;
- სამხედრო მანქანების, შეიარაღებისა და საბრძოლო აღჭურვილობის კოროზიული გამოცდების მეთოდის დამუშავება;
- ლითონური მასალების, საბრძოლო ტექნიკის, შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის კოროზიამედეგობის ლაბორატორიული კვლევები და ნატურული გამოცდები საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ პირობებში, მათ შორის შავი ზღვის წყალსა და ნოტიო სუბტროპიკულ ატმოსფეროში, დაცვის მეთოდების დამუშავება და რეკომენდაციების შედგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მეცნიერ თანამშრომელი (არასრული) (1 ერთ.)

- ახორციელებს მეტალურგიის ისტორიის სფეროში მომუშავე სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელობას;
- უზრუნველყოფს მეტალურგიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის სამეცნიერო კვლევა-ძიების განხორციელებას;
- განახორციელებს პალეომეტალურგიასთან დაკავშირებულ ძეგლებზე შავი და ფერადი ლითონის არტეფაქტების კომპლექსურ ტექნოლოგიურ გამოკვლევას;
- ხელმძღვანელობს ბრინჯაოს, ფოლადის და ძვირფასი ლითონების მასალების ქიმიურ, სპექტრალურ და მეტალოგრაფიულ გამოკვლევას;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მკვლევარი - მთავარი სპეციალისტი (არასრული) (1 ერთ.)

- მეტალოგრაფიული მიკროსკოპების და მიკროსისალების გამზომი ხელსაწყოების გამოყენება;
- არალეგირებული და ლეგირებული ფოლადების მეტალოგრაფიული კვლევა და მიკროსტრუქტურული აგებულების გაშიფვრა;
- სპეციალური ხელსაწყოებით ლითონების მიკროსისალების გაზომვა;
- სპეციალური მიკროსკოპებით ლითონების ტეხების ფრაქტოგრაფიული ანალიზის ჩატარება.

მკვლევარი - მთავარი სპეციალისტი (არასრული) (1 ერთ.)

- სპეციალური დანიშნულების ფოლადებისა და თუჯების კაზმების ანგარიში;
- ინდუქციურ ფოლადსადნობ ღუმელებში გამოდნობის თეორიულ საკითხებსა და პრაქტიკულ განხორციელებაში კონსულტაცია;
- სპეციალური ფოლადებისა და თუჯების ჩამოსხმის ტექნოლოგიური პროცესების ანალიზი.

მკვლევარი - მთავარი სპეციალისტი (არასრული) (1 ერთ.)

- სპეციალური ფოლადებისა და თუჯების შემადგენლობების და მიღების ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვაში მონაწილეობა;
- სპეციალური ფოლადებისა და თუჯების მიკროსტრუქტურული აგებულების გაშიფვრა;
- ლეგირებული ფოლადების კოროზიული მედეგობის შესწავლა;
- სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მოძიება, ანალიზი და გამოყენება.

მკვლევარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- სპეციალური ფოლადების შედუღება, შედუღების მოწყობილობა-დანადგარების და მათი ელექტრული სქემების მართვა, შესადუღებელი მასალებისათვის ელექტროდების და მათი ტექნოლოგიური რეჟიმების დადგენა;
- არალეგირებული და ლეგირებული ფოლადების შედუღების ტექნოლოგიის დამუშავება, სპეციალური თუჯების დეფექტების აღმოსაფხვრელად შედუღების ტექნოლოგიის დამუშავება.

მკვლევარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის კოროზიული გამოცდების მეთოდის დამუშავება და ნოტიო-სუბტროპიკულ გარემოში გამოცდების ჩატარება;
- ლითონების და შენადნობების ელექტროქიმიური და ქიმიური კოროზიისადმი მიდრეკილების პროგნოზირება.

მკვლევარი სპეციალისტი (არასრული) (1 ერთ.)

- ფოლადსადნობი ელექტრო-რკალური და მაღალი სიხშირის ინდუქციური ლუმელების მართვა;
- გასადნობი კაზმის გაანგარიშება სასურველი ქიმიური შედგენილობის ფოლადის მისაღებად. ფოლადის დნობა, ლეგირება, რაფინირება და მოდიფიცირება.

უფროსი ინჟინერი (1 ერთ.)

- აგრესიულ ელექტროლიტებში, მათ თხელ შრეებში და ნიადაგებში ფოლადების, შენადნობების და დანაფარების კოროზიულ-ელექტროქიმიური კვლევები ამ მასალების კოროზიამედეგობის დადგენის მიზნით;
- სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის კოროზიული გამოცდების მეთოდის დამუშავება და ნოტიო-სუბტროპიკულ გარემოში გამოცდების ჩატარება.

უფროსი ინჟინერი (არასრული) (1 ერთ.)

- ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური კვლევების შედეგად მოპოვებული საბრძოლო, სამეურნეო იარაღების, სპილენძისა და რკინის შენადნობების ქიმიური, ფიზიკური და მექანიკური თვისებების შესწავლის საფუძველზე ძველი ტექნოლოგიური პროცესების დადგენა, მოდელირება;
- ისტორიული, სამუზეუმო ექსპონატების თავისებურებების შესწავლის საფუძველზე ბულატის ცივი იარაღების ჭრის უნარის გამოკვლევა; მათი დამზადების ტექნოლოგიის აღდგენა;
- ბულატის მიღების აღდგენილი ტექნოლოგიის მიმართულებით კადრების მომზადება.

ინჟინერი - (3 ერთ.)

- პლაზმური დნობისა და ელექტროწიდური გადადნობის დანადგარების ელექტრული სქემების მართვა, ექსპლუატაცია, პროფილაქტიკა და რემონტი. შესაბამისი კაზმისა და წიდების მომზადება და დნობა.

- ლევირებული ფოლადების შედუღება, მოწყობილობა-დანადგარების და მათი ელექტრული სქემების მართვა, შესადუღებელი მასალებისათვის ელექტროდების და მათი ტექნოლოგიური რეჟიმების დადგენა.

ინჟინერი (არასრული) - (1 ერთ.)

- პლაზმური დნობისა და ელექტროწიდური გადადნობის დანადგარების მართვა და ექსპლუატაცია. შესაბამისი კაზმისა და წიდების მომზადება და დნობა.

ტექნიკოსი (I კატეგორია) - (1 ერთ.)

- AutoCAD-ში ტექნოლოგიური კვანძების საკონსტრუქციო ნახაზების შედგენა;
- მეტალოგრაფიული ანალიზისათვის ნიმუშების წინასწარი მომზადება (მიკროშლიფების დამზადება, ქიმიური და ელექტროქიმიური მოწამვლა).

თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორია

ლაბორატორიის უფროსი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- ლაბორატორიის თემატიკიდან გამომდინარე ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო ტექნიკური პროგრამების სამეცნიერო-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა;
- ლაბორატორიაში მიმდინარე სამუშაო პროგრამის და პერსპექტიული საგრანტო პროექტების წარდგენა; მათი შესრულების მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრა და მონიტორინგი;
- თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევა. ძნელდნობადი არაორგანული ნაერთების და ფხვნილოვანი კომპოზიციური მასალების თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით მიღების, მათი ფუნდამენტური თვისებების კვლევისა და პრაქტიკაში გამოყენების პრობლემებზე პერსპექტიული კვლევითი პროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების კოორდინაცია;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების შედგენა და მათი რეალიზაციისათვის სამეცნიერო-კვლევითი გეგმების დასახვა;
- სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად ჩასატარებელი სამუშაოების კოორდინაცია;
- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;
- მრავალფუნქციური დანიშნულების საკონსტრუქციო და კომპოზიციური მასალების თმს-კომპაქტირებით და თმს-ცენტრიდანული ძალების ველში ჩამოსხმით მიღების ტექნოლოგიების დამუშავება და მათი პრაქტიკაში გამოყენების გზების კვლევა; თმს-ტექნოლოგიით თმს-რეაქტორებში ფხვნილოვანი კომპოზიციური მასალების მიღების ტექნოლოგიების შემუშავება;
- კერამიკული და ლითონკერამიკული კომპოზიციური მასალების კომპაქტირების თანამედროვე ტექნოლოგიების დამუშავება მათი წარმოებაში დანერგვის თავისებურებების გათვალისწინებით;
- ფხვნილოვანი, სხმული და კომპაქტირებული ნაკეთობების საექსპლუატაციო მახასიათებლების, ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, სტრუქტურისა და ფაზური შემადგენლობის შესწავლა;
- სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შედგენა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფისა და თემის (პროექტის) თანამშრომლებელთა სამუშაოების კოორდინაცია;
- სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის ხელმძღვანელობა;

- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების წარდგენასა და შესრულებაში მონაწილეობა;
- თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) მეთოდების გამოყენებით ახალი მასალების მიღების შესაძლებლობების შესწავლა, თმს პროცესების ჩასატარებლად კაზმის მომზადება, თმს-ექსპერიმენტების ჩატარება, თმს-ტექნოლოგიებით სხვადასხვა სისტემის ინტერმეტალიდების ფორმირების მექანიზმების კვლევა და დადგენა, თმს-დანადგარების და შემრევი მოწყობილობების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის მეთოდებით მიღებული მასალების სხვადასხვა თვისებების შესწავლა;
- თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით (თმს) მრავალფუნქციური დანიშნულების კერამიკული და ლითონკერამიკული კომპოზიციური მასალების მიღების ტექნოლოგიების დამუშავება; თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ტექნოლოგიებით ახალი არაორგანული კონსოლიდირებული და ფხვნილოვანი მასალების მიღება;
- თემის ან/და პროექტის ინჟინრული ნაწილის თანამშრომლებთან კოორდინირებული მუშაობა;
- სამეცნიერო/საგრანტო პროექტების მომზადება, საეთაშორისო და ადგილობრივი სიმპოზიუმებისათვის მოხსენებებისა და პუბლიკაციების მომზადება;
- საბიუჯეტო და საგრანტო პროექტების შუალედური და საბოლოო ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა;
- თმს პროცესების შედეგად მიღებული ფხვნილოვანი მასალების ქიმიური დამუშავება მიზნობრივი პროდუქტის გამოსაყოფად, კერძოდ ხსნარებით რეცხვა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის მეთოდით ახალი მასალების მიღების პროცესების თერმოდინამიკური გათვლები და მიღებული შედეგების ანალიზი, კომპოზიციური მასალების მიღების პროცესების კვლევა;
- საკვლევი მასალის (ოქსიდების) მიღება ქიმიური მეთოდით და ექსპერიმენტებისათვის მისი მომზადება. თმს პროცესების შედეგად მიღებული ფხვნილოვანი მასალების ქიმიური დამუშავება მიზნობრივი პროდუქტის გამოსაყოფად, კერძოდ ხსნარებით რეცხვა;
- საბიუჯეტო/საგრანტო პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მკვლევარი სპეციალისტი (არასრული) (1 ერთ.)

- თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით (თმს) მრავალფუნქციური დანიშნულების კერამიკული და ლითონკერამიკული (მათ შორის ნანოგანზომილების) კომპოზიციური მასალების მიღების ტექნოლოგიების დამუშავება;
- თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ტექნოლოგიებით ახალი არაორგანული კონსოლიდირებული და ფხვნილოვანი მასალების მიღების და დამუშავების

ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა. სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციაში მონაწილეობის მიღება.

უფროსი ინჟინერი (1 ერთ.)

- AutoCAD-ში, 3D და 2D ფორმატში ტექნოლოგიური კვანძების საკონსტრუქციო ნახაზების შედგენა;
- თმს პროცესების შედეგად მიღებული ფხვნილოვანი მასალების ქიმიური დამუშავება მიზნობრივი პროდუქტის გამოსაყოფად, კერძოდ ხსნარებით რეცხვა.

ინჟინერი (1 ერთ.)

- მრავალფუნქციური დანიშნულების საკონსტრუქციო და კომპოზიციური მასალების თმს-ცენტრიდანული ძალების ველში ჩამოსხმით მიღება;
- თმს-ცენტრიდანული ძალების ველში მასალების ჩამოსხმისთვის საკაზმე მასალებისა და მიღებული ნამზადების პრეპარირება.

ტექნიკოსი (1 ერთ.)

- თმს - მასალების მისაღებად კაზმის მომზადება, მიღებული ნიმუშების მომზადება მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლის მიზნით;
- თმს – დანადგარების მომზადება ცდების ჩასატარებლად.

ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია

ლაბორატორიის უფროსი-მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- ლაბორატორიის თემატიკიდან გამომდინარე ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო ტექნიკური პროგრამების სამეცნიერო-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა;
- ლაბორატორიაში მიმდინარე სამუშაო პროგრამის და პერსპექტიული საგრანტო პროექტების წარდგენა; მათი შესრულების მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრა და მონიტორინგი;
- სამეცნიერო ხელმძღვანელებთან შეთანხმებით სარეალიზაციო სამეცნიერო- კვლევითი პროექტების სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების კოორდინაცია;
- III-V ტიპის ნახევარგამტარული ნაერთების და მათი შენადნობების მიღება და გამოკვლევა. მასალების შესახებ არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ლიტერატურის მოძიება, ანალიზი, განზოგადება და პრაქტიკული განხორციელება; დასამუშავებელი მასალების რეალური სტრუქტურის ფიზიკური მოდელების აგება;
- მაღალი ხარისხის III-V ნახევარგამტარული მასალების InAs, GaAs, InP და მათი მყარი ხსნარების პოლი და მონოკრისტალების გაზრდის და ლეგირების ტექნოლოგიების დამუშავება;
- სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის სამეცნიერო ხელმძღვანელობა;
- სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად ჩასატარებელი სამუშაოების კოორდინაცია;
- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მეცნიერ-თანამშრომელი (2 ერთ.)

- III-V ტიპის ნახევარგამტარული ნაერთების და მათი შენადნობების მიღება და გამოკვლევა. მასალების შესახებ არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ლიტერატურის მოძიება,

ანალიზი, განზოგადება და პრაქტიკული განხორციელება; დასამუშავებელი მასალების რეალური სტრუქტურის ფიზიკური მოდელების აგება და მათი კომპიუტერული რეალიზება;

- დასამუშავებელი მასალების ძირითადი გამოყენებითი მნიშვნელობის მქონე თვისებების პროგნოზირება და ამის საფუძველზე ტექნოლოგიური პროცესისათვის რეკომენდაციების დამუშავება და განხორციელება;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მეცნიერ - თანამშრომელი (არასრული) - (1 ერთ.)

- III-V ტიპის ნახევარგამტარული ნაერთების და მათი შენადნობების მიღება და გამოკვლევა. მასალების შესახებ არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ლიტერატურის მოძიება, ანალიზი, განზოგადება და პრაქტიკული განხორციელება;
- დასამუშავებელი მასალების რეალური სტრუქტურის ფიზიკური მოდელების აგება და მათი კომპიუტერული რეალიზება; ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრიის მეთოდით მიკრომინარეების კონცენტრაციების განსაზღვრა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მკვლევარი - სპეციალისტი (არასრული) - (1 ერთ.)

- III-V ტიპის ნაერთების და მათი მყარი ხსნარების ელექტრული, ოპტიკური და თერმოდინამიკური, მათ შორის რადიაციული თვისებების გამოკვლევა-შესწავლა. სამკომპონენტო ნახევარგამტარული მასალების მიღებისთვის საჭირო დანადგარების გამართვა და ტექნოლოგიური პროცესების კონტროლი.

მკვლევარი - სპეციალისტი (არასრული) - (1 ერთ.)

- ლაბორატორიაში III-V ტიპის ნახევარგამტარების საფუძველზე მიღებული სამმაგი მყარი ხსნარების მაღალტემპერატურული სითბოგამტარელობის და ელექტრო-ფიზიკური პარამეტრების გამოკვლევა.

მკვლევარი - სპეციალისტი (არასრული) - (1 ერთ.)

- თხევადფაზური ეპიტაქსის ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა, სითბური გაფართოების და სითბოგამტარობის კოეფიციენტების გამოკვლევა;
- მაღალი ხარისხის ნახევარგამტარული მასალების Si, Ge და III-V ტიპის ნაერთების InAs, InP და მათი მყარი ხსნარების პოლი და მონოკრისტალების გაზრდის და ლეგირების ტექნოლოგიების დამუშავება;
- კრისტალების მიღებისთვის საჭირო დანადგარების გამართვა, კონტროლი; კრისტალების გაზრდა, ტექნოლოგიური სამუშაოების ორგანიზება;
- მიღებული მასალების ძირითადი პარამეტრების გაზომვების ჩატარება დასხივებამდე და ჩქარი ნეიტრონებით, მაღალი ენერჯის ელექტრონებით და გამა სხივებით დასხივების შემდეგ.

ინჟინერი (1 ერთ.)

- მაღალი ხარისხის ნახევარგამტარული მასალების Si, Ge და III-V ტიპის ნაერთების InAs, InP და მათი მყარი ხსნარების პოლი და მონოკრისტალების გაზრდა, მექანიკური და ქიმიური დამუშავება და სტრუქტურული სრულყოფის გამოკვლევა ოპტიკური მიკროსკოპის საშუალებით.

სტრუქტურული ანალიზის ჯგუფი

ჯგუფის უფროსი - მკვლევარი მთავარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უზრუნველყოფა სტრუქტურული კვლევებითა და შედეგების ანალიზით;
- ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა და მონიტორინგი.

მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- ნიმუშის ქიმიური შემადგენლობის ანალიზი Q8 MAGELLAN სპექტრომეტრზე. ნივთიერებების მიკროსპექტრალური ქიმიური ანალიზი ლაზერულ (LMA 10) და მიკროსპექტრალურ (Cameca MS46) ანალიზატორებზე;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მკვლევარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- ნივთიერებების მიკროსპექტრალური ქიმიური ანალიზი ლაზერულ (LMA 10) და მიკროსპექტრალურ (Cameca MS46) ანალიზატორებზე.

მკვლევარი სპეციალისტი (არასრული) (1 ერთ.)

- რენტგენოფაზური ანალიზით ნარევი სხვადასხვა ფაზების იდენტიფიკაცია დიფრაქციული სურათის მიხედვით, «ДРОН-2» და «ДРОН-4» აპარატებს გამოყენებით. რენტგენოფაზური ანალიზით მრავალფაზური პოლიკრისტალური მასალების გამოკვლევა. პოლიკრისტალების რენტგენოფაზური დიფრაქციული ანალიზი. ნანოკრისტალების რენტგენოფაზური ანალიზი. რენტგენოფაზური ანალიზით ნივთიერების იდენტიფიკაცია ნაზავში.

უფროსი ინჟინერი (1 ერთ.)

- საკვლევი ნიმუშების სპექტრალური ანალიზი და ქიმიური შემადგენლობის კვლევა.

ტექნიკოსი (1 ერთ.)

- რენტგენოფაზური ანალიზით ნარევი სხვადასხვა ფაზების იდენტიფიკაცია დიფრაქციული სურათის მიხედვით, «ДРОН-2» და «ДРОН-4» აპარატების გამოყენებით. რენტგენოფაზური ანალიზით მრავალფაზური პოლიკრისტალური მასალების გამოკვლევა. პოლიკრისტალების რენტგენოფაზური დიფრაქციული ანალიზი. ნანოკრისტალების რენტგენოფაზური ანალიზი. რენტგენოფაზური ანალიზით ნივთიერების იდენტიფიკაცია ნაზავში.

ტექნიკოსი (1 ერთ.)

- ლაზერული (LMA 10) და მიკროსპექტრალური (Cameca MS46) აპარატების ტექნიკური მომსახურება.

ლაბორანტი (1 ერთ.)

- ოპტიკური მიკროსკოპ EPIQUANT-ის გამოყენებით საკვლევი ნიმუშების მეტალოგრაფიული ანალიზი; ნიმუშის ქიმიური შემადგენლობის ანალიზი Q8 MAGELLAN სპექტრომეტრზე.

თერმული დამუშავებისა და მექანიკური კვლევების ჯგუფი

ჯგუფის უფროსი - მკვლევარი მთავარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უზრუნველყოფა თერმული დამუშავებისა და მექანიკური დამუშავების კვლევის მიმართულებით;
- ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა და მონიტორინგი;
- საკვლევი ლითონური მასალების მექანიკური თვისებების მახასიათებლების (სიმტკიცე, პლასტიკურობა, დარტყმითი სიბლანტე) კვლევა;
- ოპტიკურ - მიკროსკოპული მეტალოგრაფიული ანალიზი;
- ლითონური მასალების და მზა პროდუქციის სამეცნიერო - ტექნიკური ექსპერტიზა.

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;
- საკვლევი ლითონური მასალების დიურომეტრიული ანალიზი;
- საკვლევი ლითონური მასალების თერმული დამუშავების რეჟიმის დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

ანალიზური ქიმიის ჯგუფი

ჯგუფის უფროსი - მკვლევარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უზრუნველყოფა საკვლევი ნიმუშების ქიმიური შემადგენლობის ანალიზით;
- საკვლევი ნიმუშის ქიმიური ანალიზის მეთოდის შერჩევა, ჯგუფის წევრების სამუშაოების დაგეგმვა, გარე დამკვეთებთან საექსპერტო სამუშაოების კოორდინირება

ინჟინერი (1 ერთ.)

- მეტალებისა და შენადნობების ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრა სველი მეთოდებით. მონაწილეობა საექსპერტო სამუშაოებში.

ტექნიკოსი (1 ერთ.)

- ФЭК-56ИМ და აზოტის განმსაზღვრელ აპარატურაზე ლითონური და კომპოზიციური მასალების ქიმიური ანალიზი

ლაბორანტი (1 ერთ.)

- ჯგუფში მიმდინარე სამუშაოების ტექნიკური უზრუნველყოფა და ექსპერიმენტებში მონაწილეობა.

მათემატიკური მოდელირების ჯგუფი

ჯგუფის უფროსი - მკვლევარი მთავარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უზრუნველყოფა მათემატიკური მოდელირების მეთოდით;
- ჯგუფის მიერ შესასრულებული სამუშაოების დაგეგმვა და მონიტორინგი.

- დახმარება სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიური პროცესების აღმწერი მათემატიკური ამოცანების კორექტული ფორმულირების პროცესში;
- მიღებული ამოცანების ანალიზური ან რიცხვითი ამოხსნა; რიცხვითი ექსპერიმენტების დაგეგმვა და განხორციელება; ექსპერიმენტული მონაცემების მათემატიკური დამუშავება.

ელექტრონული მიკროსკოპის ჯგუფი

ჯგუფის უფროსი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთ.)

- ინსტიტუტის საკვლევ ნიმუშების შესწავლა სკანირებული ელექტრონული მიკროსკოპის მეშვეობით, მარცვლების თავისუფალი ზედაპირების გაზომვა და ფორიანობის ანალიზი;
- ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა და მონიტორინგი;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;
- ჯგუფის განკარგულებაში არსებული საკვლევ და დამხმარე მოწყობილობის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვა-პროფილაქტიკა და შესაბამისი კვლევების კოორდინაცია/ადმინისტრირება;
- ჯგუფის მიერ ჩატარებული და ელექტრონულ მიკროსკოპზე მიღებული სტრუქტურული და მიკრორენტგენოსპექტრალური კვლევების ანალიზი, დახასიათება და შეჯერება ინსტიტუტში მიმდინარე თემების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან;
- ინსტიტუტში მიმდინარე შესაბამის თემატიკით საბიუჯეტო პროექტის ხელმძღვანელობა;
- ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტების შემუშავება/წარდგენა და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელობა;
- შესრულებული სამუშაოების კვლევის შედეგების გამოყენების სფეროების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების წარდგენასა და შესრულებაში მონაწილეობა;
- „ჰიტაჩის“ მოდელის სკანირებული ელექტრონული მიკროსკოპის ექსპლუატაცია და სტრუქტურული და რენტგენომიკროსპექტრალური ანალიზების ჩატარება კომპოზიციურ მასალებში (ფხვნილები, მონოლითები) ატომური შემადგენლობისა და ფაზების განაწილების მიმართულებით;
- მსუბუქი ლითონების ფხვნილოვან კომპოზიციებში (ნახშირბადი, ბორი და ა.შ) მარცვლების თავისუფალი ზედაპირების გაზომვა და ფორიანობის ანალიზი;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

სადნობ-საჩამომსხმელო უბანი

უბნის უფროსი (1 ერთ.)

- ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა და მონიტორინგი;
- ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორიასთან ერთობლივ სამუშაოებში მონაწილეობა;
- ფერადი ლითონების და მათი შენადნობების გამოდნობა. რუხი თუჯის გამოდნობა და მოდიფიცირება. მაღალი სიმტკიცის თუჯის იზოთერმული წრთობის რეჟიმების დადგენა

სასურველი ფაზური და სტრუქტურული მახასიათებლების მისაღებად. მიღებული ბენიტიური თუჯის ნამზადების სტრუქტურული გამოკვლევა, მექანიკური თვისებების შესწავლა;

- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მკვლევარი-უფროსი სპეციალისტი - (1 ერთ.)

- მაღალი სიხშირის დენების ლითონსადნობი ღუმელების და რკალური ლითონსადნობი ღუმელების ექსპლუატაცია, კაზმის ანგარიში, დნობის პროცესების ჩატარება და ლითონის ჩამოსხმა;
- სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

ბათუმის კოროზიული კვლევების პოლიგონი

პოლიგონის უფროსი - მკვლევარი მთავარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- პოლიგონის სამეცნიერო და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა;
- შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა და მონიტორინგი;
- ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორიასთან ერთობლივ სამუშაოებში მონაწილეობა;
- ბათუმის ნოტიო სუბტროპიკულ გარემოში, მათ შორის ზღვის წყალში ლითონებისა და შენადნობების, აგრეთვე მანქანების კვანძებისა და აგრეგატების კოროზია მედეგობის დადგენის, მათი დაცვის მეთოდების დამუშავების ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
- სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

უფროსი ინჟინერი (1 ერთ.)

- ბათუმის ნოტიო სუბტროპიკულ გარემოში, მათ შორის ზღვის წყალში ლითონების და შენადნობების, აგრეთვე მანქანების კვანძებისა და აგრეგატების კოროზიის პროცესზე დაკვირვება და დინამიკის შესწავლა;
- სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

ტექნიკოსი (1 ერთ.)

- კოროზიული კვლევების ტექნიკური უზრუნველყოფა: ნიმუშების წინასწარი მომზადება, მათი პარამეტრების, წონისა და მდგომარეობის ფოტოფიქსაცია, მეტეოსადგურის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- პოლიგონის სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფა.

ლაბორანტი (არასრული) (1 ერთ.)

- კოროზიული კვლევების პოლიგონზე მიმდინარე კვლევებში ტექნიკური პერსონალისათვის ექსპერიმენტების მომზადება და შედეგების დამუშავებაში დახმარება.

მეტალურგიის განყოფილება

მეტალურგიის განყოფილების უფროსი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - (1 ერთ.)

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის მეტალურგიული პროცესების უმთავრესი სამეცნიერო პრობლემების, მათ შორის სამეცნიერო - ტექნიკური პროგრამების სამეცნიერო-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა;

- მეტალურგიული პროფილის ლაბორატორიის უფროსებთან ერთად კვლევების საფუძველზე ახალი სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება, სამუშაო პროგრამის შედგენის ორგანიზება, მათი შესრულების მეთოდების და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა;
- განყოფილებაში შესასრულებელი სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების გეგმის შედგენა, თანაშემსრულებელთა იმ ჯგუფების საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც მონაწილეობენ ინსტიტუტის ლაბორატორიებთან ან სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად ჩასატარებელი სამუშაოების შესრულებაში;
- სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოყენების სფეროს განსაზღვრა და მიღებული შედეგების პრაქტიკაში რეალიზაციის ხელმძღვანელობა;
- სამეცნიერო კადრების მომზადებისა და შესაბამის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება და კონტროლი.

ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორია

ლაბორატორიის უფროსი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- ლაბორატორიის თემატიკიდან გამომდინარე ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო ტექნიკური პროგრამების სამეცნიერო-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა;
- ლაბორატორიაში მიმდინარე სამუშაო პროგრამის და პერსპექტიული საგრანტო პროექტების წარდგენა; მათი შესრულების მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრა და მონიტორინგი;
- ლითონების წნევით დამუშავების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების ღრმა ცოდნა და ანალიზი;
- ლითონების წნევით დამუშავების თანამედროვე მეთოდებით განახორციელებს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოების სამეცნიერო-ორგანიზატორულ ხელმძღვანელობას;
- ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად კვლევების აქტუალური მიმართულებების შემუშავება, ინსტიტუტის სხვა ლაბორატორიებთან ან სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად ჩასატარებელი სამუშაოების შესრულების ორგანიზება;
- გაზრდილი გაბარიტების იმპულსური დატვირთვის დამცავი ფილების მიღების ტექნოლოგიის კვლევა, ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენა;
- მიღებული შედეგების გამოყენების სფეროს განსაზღვრა და მათი პრაქტიკაში რეალიზაციის ხელმძღვანელობა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;
- ლითონების წნევით დამუშავებისა და უწყვეტი ჩამოსხმა-გლინვის ტექნოლოგიური პროცესის შემუშავება;
- უსხმულო გლინვის დანადგარების კონსტრუირება, აგრეგატზე ფერადი ლითონებისა და ფოლადის ზოლების მიღების თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევა და ანალიზი, ტექნოლოგიის დამუშავება;
- ენერგო ძალოვანი პარამეტრების თეორიული ანგარიშით მიღებული მონაცემებისა და ექსპერიმენტალურად დადგენილი სიდიდეების შედარებითი ანალიზი, ცდომილების დიაპაზონის დადგენა; ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარება - ხელმძღვანელობა;

- უსხმულო გლინვის მეთოდით ფერადი ლითონებისა და სპეციალური დანიშნულების ფოლადებისაგან სხვადასხვა სისქისა და ფენოვანი კომპოზიციური ფურცლების მიღების ტექნოლოგიაზე რეკომენდაციის შემუშავება;
- ლითონთა ჩამოსხმა-გლინვის ტექნოლოგიური პროცესის თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევების გაანალიზება და მონიტორინგი;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხელმძღვანელობა და შესაბამისი კვალიფიკაციის შემსრულებლების თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევებში ჩართვის უზრუნველყოფა-კოორდინაცია;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;
- უზოდო გლინვის მეთოდით ფერადი ლითონებისა და სპეციალური დანიშნულების ფოლადებისაგან სხვადასხვა სისქისა და ფენოვანი კომპოზიციური ფურცლების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება;
- უზოდო ჩამოსხმა-გლინვის მეთოდის თანამედროვე მიღწევების გაანალიზება;
- თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევების ხელმძღვანელობა და მიღებული შედეგების ანალიზი და განზოგადება;
- უზოდო გლინვის მეთოდით მიღებული სპეციალური დანიშნულების ალუმინისაგან ფიზიკო-მექანიკური, მეტალოგრაფიული და სტრუქტურული კვლევის ჩატარება და მიღებული შედეგების გაანალიზება;
- ლითონთა უზოდო-გლინვის ტექნოლოგიური პროცესის თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევებით მიღებული შედეგების გაანალიზება და სათანადო რეკომენდაციების მომზადება;
- აღნიშნული მიმართულებით ოპტიმალური ტექნოლოგიების დამუშავება, მათი პრაქტიკაში დანერგვის გზების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (არასრული) (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;
- დატვირთვამდეგე მასალების შესახებ უახლესი ლიტერატურული წყაროების მოძიება და ანალიზი;
- თეორიული გათვლებით და თმს-ელექტროგლინვით მიღებული ექსპერიმენტული მონაცემებით დადგენილი სიდიდეების შედარებითი ანალიზი, ცდომილების დიაპაზონის დადგენა;
- თმს-ელექტროგლინვით მიღებული სხვადასვა შედგენილობის სინთეზური კაზმებიდან მიღებული ფურცლების მეტალოგრაფიული კვლევა და ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლების შესწავლა, ანალიზი;
- ტექნოლოგიური პროცესის კორექცია აუცილებლობის შემთხვევაში;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- შავი და ფერადი ლითონების უწყვეტი ჩამოსხმის პროცესებთან დაკავშირებული სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და განზოგადოება;
- ლაბორატორიული ექსპერიმენტების დაგეგმვა, მომზადება და ჩატარება;
- მიღებული შედეგების კომპიუტერული ფიქსირება- დამუშავება;
- უსხმულო გლინვის მეთოდით ფერადი ლითონებისა და სპეციალური დანიშნულების ფოლადებისაგან სხვადასხვა სისქის ფურცლების მიღების ტექნოლოგიაზე რეკომენდაციის შემუშავება.
- პერსპექტიული გეგმების დამუშავებაში მონაწილეობა;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- თმს ელექტროგლინვის პროცესის კვლევა;
- ინსტიტუტის სხვა ლაბორატორიებთან ან სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად ჩასატარებელი სამუშაოების შესრულებაში მონაწილეობა;
- გაზრდილი გაბარიტების იმპულსური დატვირთვის დამცავი ფილების მიღების ტექნოლოგიის კვლევა, ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენა;
- მიღებული შედეგების ანალიზი;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მკვლევარი მთავარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- კვლევითი პროგრამის შედგენის ორგანიზება, მათი შესრულების მეთოდების და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა;
- გაზრდილი გაბარიტების იმპულსური დატვირთვის დამცავი ფილების მიღების ტექნოლოგიის კვლევა, ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენა;
- სამუშაოს მიმდინარეობის (მათ შორის ექსპერიმენტის) კონტროლი;
- მიღებული შედეგების ანალიზი;
- დასრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენა.

მკვლევარი მთავარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- თმს-ელექტროგლინვის დანადგარზე მიმდინარე პროცესის სრულყოფილი ფლობა;
- დანადგარის მონტაჟი და გაშვება;
- გამზომ გადამწოდი მოწყობილობების მონტაჟი, ამოქმედება;
- თმს-ელექტროგლინვის პროცესის კვლევა;
- მიღებული შედეგების ანალიზი;
- აგრეგატის ტექნიკური მომსახურეობა;
- სააქროში არსებული დანადგარ მოწყობილობათა გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

მკვლევარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- თმს-ელექტროგლინვის დანადგარისათვის საჭირო არასტანდარტული კვანძების დაპროექტება;
- მათი დამზადების კონტროლი;
- თმს-ელექტროგლინვის დანადგარზე მონტაჟის ხელმძღვანელობა;
- დანადგარის გამართული მუშაობის კონტროლი.

მკვლევარი სპეციალისტი (1 ერთ.)

- გადამწოდების მონაცემების კომპიუტერული ფიქსაციის პროგრამის შემუშავება;
- ელექტრონული გადამწოდების შემუშავება და დამზადება უწყვეტი-საჩამოსხმა გლინვის, დუო და ელექტროგლინვების დგანებზე, ექსპერიმენტების ჩასატარებლად;
- ძალოვანი, ტემპერატურული ჩქაროსნული კონტროლის სისტემების აწყობა-ექსპლუატაცია;
- სიჩქარის გადამწოდის ელექტრონული სქემის აწყობა კომპიუტერზე გლინვის სიჩქარის ჩასაწერად;
- ტექნოლოგიურ პარამეტრებს შორის დამოკიდებულების გრაფიკის შედგენა.

ინჟინერი (1 ერთ.)

- დატვირთვამდევის მასალების თმს ელექტროგლინვით მიღების უახლესი ლიტერატურული წყაროების მოძიება და ანალიზი. მათი სისტემატიზირება;
- საამქროს დანადგარების ტექნოლოგიური კვანძების პროექტების, მიმდინარე კვლევითი სამუშაოების დიაგრამებისა და ნახაზების კომპიუტერული შესრულება;
- მიღებული ნამზადების მიკროსტრუქტურის შესწავლა;
- ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევაში მონაწილეობა.

ლაბორანტი (1 ერთ.)

- ლითონების წნევით დამუშავებისა და თმს-ელექტროგლინვის მიმართულებით ექსპერიმენტალური კვლევების ძირითადი ასპექტების ფლობა;
- ექსპერიმენტალურ კვლევებში გამოყენებულ მოწყობილობებზე მუშაობა;
- საჭირო ესკიზების გამოხაზვა;
- მიღებული მასალის მეტალოგრაფიული კვლევა;
- წლიური ანგარიშის შედგენაში მონაწილეობის მიღება.

მანგანუმშემცველი და სხვა მინერალური ნედლეულის გადამუშავების ლაბორატორია

ლაბორატორიის უფროსი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- ლაბორატორიის თემატიკიდან გამომდინარე ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო ტექნიკური პროგრამების სამეცნიერო-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა;
- ლაბორატორიაში მიმდინარე სამუშაო პროგრამის და პერსპექტიული საგრანტო პროექტების წარდგენა; მათი შესრულების მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრა და მონიტორინგი;
- მანგანუმშემცველი საკაზმე მასალების ხარისხის კომპლექსური შეფასება და მათი შემდგომი მეტალურგიული მომზადებისა და გადამუშავების ტექნოლოგიების დამუშავება;
- მადანთერმული ელექტრული ღუმელების მუშაობის რაციონალური რეჟიმების დადგენა გადასამუშავებელი მასალების ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და შედგენილობის ცვლილებების გათვალისწინებით. ღარიბი მადნების გამოყენების ოპტიმალური გზის დადგენა ჭიათურა-ზესტაფონის სამთო-მეტალურგიული კომპლექსის დღევანდელი მდგომარეობისა და შემდგომი პერსპექტივების გათვალისწინებით;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პერსპექტიული საგრანტო პროექტების მომზადება, წარდგენა და ხელმძღვანელობა;

- სამეცნიერო კვლევების ჩატარება ქვეყნის იმ მინერალური რესურსების რაციონალური გამოყენების მიმართულების დასადგენად, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ფართო გამოყენება;
- კომპლექსური ფეროშენადნობების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ინტენსიფიკაციის შესაძლებლობის გამოვლენის მიზნით რეალური კაზმების კარბოთერმული აღდგენის პროცესის კომპიუტერული გამოკვლევა ამ დანიშნულების სხვადასხვა პროგრამული პაკეტების („Thermo-cal“ და სხვ.) გამოყენებით;
- ერთიანი სამეცნიერო ინფორმაციული სივრცის შექმნა მეტალურგიის სფეროში. მარკეტინგი, ბაზრის კონიუქტურის გამოკვლევა, მისი განვითარების ანალიზი;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთ.)

- მადანთერმულ ლუმელში ფეროშენადნობებისა და ლითონების (მეტალურგიული სილიციუმი და სხვ.) მიღების დროს გამოყენებადი კომპონენტებისა და კაზმების გახურების თანმხლები ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შესწავლა დერივატოგრაფიული მეთოდით (Derivatograph Q-1500 D (უნგრეთი));
- ექსპერიმენტული კვლევების ჩატარება დნობის პროცესში გამოყენებული მინერალური ნედლეულისა და კაზმების ტექნიკური ანალიზის დასადგენად;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების მომზადება; სამეცნიერო შრომების გაფორმება, გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

უფროსი ინჟინერი (2 ერთ.)

- მადანთერმული ელექტროლუმელების მუშაობის რაციონალური რეჟიმების დადგენა გადასამუშავებელი მასალების ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და შედგენილობის ცვლილებების გათვალისწინებით;
- რკინისა და მანგანუმის წვრილდისპერსული მადნებიდან და წარმოების მყარი ნარჩენებიდან მრავალკომპონენტური შედგენილობის ნაჭროვანი მასალების მიღებისა და ფეროშენადნობების ელექტროთერმულ წარმოებაში მათი ეფექტური გამოყენების ვარიანტების დადგენა;
- ადგილობრივი და გარედან შემოტანილი მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების მეტალურგიული ღირებულებების შესწავლა, ფეროშენადნობების საცდელი მოდელური დნობების ჩატარება.

ინჟინერი (2 ერთ.)

- ორიგინალურ დანადგარზე მანგანუმიანი ფეროშენადნობების საკაზმე მასალებისა და კაზმების თბოფიზიკური თვისებების (სითბოტევადობა, თბოგამტარობა, ტემპერატურა-გამტარობა და სხვ.) შესწავლა;
- საცდელი ელექტროთერმული ლუმელის გამართვა და ფეროშენადნობების მოდელური დნობების ჩატარება.

ტექნიკოსი (1 ერთ.)

- კვლევის პროცესებში გამოყენებული მინერალური ნედლეულისა და კაზმების ნიმუშების მომზადება, მათი ტექნიკური ანალიზი;
- მანგანუმიანი ფეროშენადნობებისა და ტექნიკური სილიციუმის მიღების დროს გამოყენებადი კომპონენტებისა და კაზმების თბური გარდაქმნების, კარბოთერმული აღდგენის კინეტიკის შესწავლის ექსპერიმენტებში მონაწილეობის მიღება.